საქართველო
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
DMANISI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **108-1082311719**
თარიღი: **27/04/2023**

ადრესატი: მირანდა თეთრაძე
პირადი ნომერი: 01017047251
მისამართი: თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 20

ქალბატონო მირანდა,

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ 2019-2023 წლებში ჩატარებული შიდა აუდიტის დასკვნების დოკუმენტებს, მოგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 42-ე მუხლის "ზ" პუნქტის მიხედვით ყველას აქვს უფლება იცოდეს "საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორიული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება წარმოადგენს მხარეს". აღნიშნული მუხლი მოიცავს სხვა ისეთ ინფორმაციებსაც, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია, მათ ჩამონათვალში არ შედის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტორიული შემოწმების ანგარიშების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად მოთხოვნილი დოკუმენტების გასაიდუმლოების საშუალებას გვაძლევს მოქმედი კანონმდებლობა. ამავდროულად საქართველოს კანონის "სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, შიდა აუდიტორი ვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორიული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აქვე გაცნობებთ, რომ საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორიული დასკვნებისა და რევიზიების შედეგებზე თქვენ შეგიძლიათ წვდომა გქონდეთ მითითებულ ვებგვერდზე : https://www.sao.ge/, რაც შეეხება შიდა აუდიტორიული შემოწმების ანგარიშებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია არ გაასაჯაროოს.

პატივისცემით,

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი